ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დასახელება: აგრარული ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი (Ph.D in Economics)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **<u>მიზანი:</u>**

პროგრამის ძირითადი მიზანია კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ეკონომიკის აგრარულ სფეროში ინოვაციური ცოდნის შექმნას, კრიტიკულ აზროვნებას, მოთხოვნების შესაბამისად მათ გენერაციას, ტრანსფორმაციას და გავრცელებას სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. ასევე, კადრების მომზადება ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სფეროს შესაბამის ორგანიზაციებსა და კომერციულ სტრუქტურებში.

- **<u>პროგრამის შედეგი:</u>**

დარგობრივი კვალიფიკაცია – სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დარგობრივი კვალიფიკაცია ეკონომიკის დოქტორის ხარისხი (Ph.D in Economics).

დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ეკონომიკის დოქტორს აგრარულ ეკონომიკაში მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის შესაბამის პირობებში. მან უნდა იცოდეს:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- საერთო ეკონომიკური ციკლის დისციპლინები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ფინანსები რომელთა ცოდნა საშუალებას აძლევს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოახდინოს პროგნოზირება;

დოქტორის კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ზოგადი კომპეტენცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია ბერგენის კონფერენციაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის (www.bolgna-bergen2005.no).

დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით, აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

-თავის საქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;

-მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები;

-მართოს საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა აუდიტის სამსახურები;

-ასწავლოს აგრარული ეკონომიკა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

- <u>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:</u>

– კურსდამთავრებულები მომზადებულნი იქნებიან მაღალი დონის პოზიციების დასაკავებლად აგრობიზნესის სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებში საქმიანობის შემდეგი მიმართულებებით: მარკეტინგი, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი, პროდუქციით ვაჭრობა, სურსათის წარმოება, ფინანსური მომსახურება, ინვესტიციები, გაყიდვები, ეკონომიკური პროგნოზირება, მენეჯმენტი და სხვა.

დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

- <u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები:</u>

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის დადგენილება №215).